სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

ერი

1991
სამშაბათი
19
თებერვალი
№ 21 (10414)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანობა გვჭირდება

ახლა რომ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე კრიზისულია, აგის დაფარვა ნამდვილად არ შეიძლება, მაგრამ ამას საკუთარი ძალებით უნდა დავაღწიოთ თავი. დღეს, როგორც არასდროს, ხალხის ნებით არჩეულ ეროვნულ პარლამენტს სჭირდება თანადგომა, ერთსულოვანი მხარდაჭერა. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა ქალაქის პრეფექტთან ბატონ თამაზ ყორუოლიანთან შეხვედრას, რომელიც 14 თებერვალს საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში ჩატარდა.

რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე და უახლოესი პერიოდის ამოცანებზე ვრცელი ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ბატონი გივი თაქთაქიშვილი. მანვე ამომწურავი პასუხი გასცა მრავალ შემოსულ შეკითხვას.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ქალაქის პრეფექტი თაეაზ ჟორჟოლიანი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრირებული პარტიების სია

1. საქართველოს შრომის პარტია
2. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
3. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
4. საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია
5. საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური სამართლიანობის პარტია
6. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება
7. საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი
8. საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია
9. საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია
10. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია
11. საქართველოს ჰელსინკის კავშირი
12. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
13. სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება
14. სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტია
15. საქართველოს სახალხო ფრონტი
16. სრულიად საქართველოს ყმინდა ილია მაოთლის საზოგადოება
17. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „დემოკრატთა კავშირი" (ახალქალაქი)
18. საქართველოს რესპუბლიკური პარტია
19. საქართველოს სამართლიანობისა და ეროვნული ერთიანობის პარტია
20. საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი
21. საქართველოს დემოკრატიული სახალხო ფრონტი
22. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება
23. საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი
24. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „სვანეთი"
25. სრულიად საქართველოს 9 აპრილის კავშირი
26. საქართველოს მთიელთა კავშირი

სამაჩაბლო—ჩვენი სატკივარი

შევიფარებთ ერთ ოჯახს

პრესის, ტელევიზიისა და თვითმხილველთა გადმოცემებით ვგრძნობ, თუ რა გასაჭირშია ჩავარდნილი სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა.

ჩემი და ჩემი მეუღლის სურვილია შევიფაროთ ლტოლვილთა ერთი ოჯახი ხანგრძლივი დროით, სანამ საჭიროება მოითხოვს.

პირობას ვაძლევთ არ მოვაკლოთ მათ ოჯახური სითბო, ასევე უზრუნველვყოთ საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

ს. კალანდია,
სოფელი რუხი.

ფიქრები სადღეისო პროგლემებზე

დავუმტკიცოთ მამულს ერთგულება

საქართველოს რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა, პარლამენტის უფლებებით აღჭურვილი პრეფექტები ადგილებზე ანხორციელებენ ენერგიულ ზომებს სახალხო მეურნეობის კატასტროფულად ჩავარდნილი რგოლების ამოსაწევად. ძალზე მწვავედ გვახსენებს თავს სასიცოცხლო მნიშვნელობის სოციალური და ეკონომიკური საკითხების მოუგვარებლობა. ბევრმა მათგანმა უკვე ქრონიკული ხასიათი მიიღო. ბუნებრივია, შექმნილი კრიზისული სიტუაციის ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნება წარმოუდგენელია, თუ ყოველი ჩვენგანი, რანგისა და ცენზის მიუხედავად, ჭეშმარიტი ჯარისკაცივით არ გაისარჯა მინდობილ უბანზე. აკი ითქვა და ჩვენც მოწმენი ვართ ცალკეული ვაიქართველის ფარისევლური მიმიკრიისა. ისინი სიტყვით, სუფრასთან თავს სამშობლოს პატრიოტად მოგაჩვენებენ, ფაქტიურად ნიღაბი აქვთ სახეზე აკრული და თავიანთ ბნელ საქმეებს აკვარახვინებენ. მიმართავენ საბოტაჟს, ათასნაირ პროვოკირებას, რომლის მიზანია ახალ პოლიტიკურ რეჟიმს და ხალხს შორის შუღლის, უნდობლობის ჩამოგდება. ასეთი ელემენტების ცხოვრებისეული კრედო შემდეგია: ოღონდ პირადი სარგებლიანობის დახშული, ჩარჩ-ვაჭრული წრე შემოღობონ, სადაც მინიმალურია კანონიერების შეღწევის შანსი, და სხვას არაფერს დაგიდევენ. ბუნებრივია, მათ მძაფრი ნოსტალგია აქვთ წარსულისადმი, იმ დროისადმი, როდესაც მშვენივრად მოიწყვეს საკუთარი „თბილი ბასტიონები". ახალი ხელისუფლების მკაცრი და პრინციპული მოთხოვნები ასეთების თავს ზემოთ დღეს დამოკლეს მახვილივით ჰკიდია. ახალი საქართველოს ეკონომიკის მშენებლობა იქითკენ მიდის, რომ დემოკრატიული სტრუქტურებისა და გარანტიების შემოღებით უპირველეს ყოვლისა მშრომელ, უნარიან, კეთილსინდისიერ მოქალაქეებს შეექმნათ ნაყოფიერი გარჯის პირობები. აქ ერთი ასეთი, ნიშანდობლივი მომენტია გასათვალისწინებელი: ჩვენს პარლამენტს პრობლემათა რეალური, არაორდინალური ხედვის დეფიციტს ვერ დასწამებ. არაერთხელ გაცხადდა მისი ნება ცალსახად და პრინციპულად: ეგრეთწოდებული ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენელთა დევნა-რეპრესირებას არავინ იხდის თვითმიზნად. პირიქით, გარკვეულ შემწყნარებლობასაც იჩენენ იმათ მიმართ, ვინც რეალურად შეაფასებს ამუამინდელ ვითარებას, მკვეთრად შეიცვლის დამოკიდებულებას და ცხოვრების წესს, დაიგდებს ფულის მოხვეჭის საძრახ გზას და ახალი ქვეყნის მშენებელთა რიგებში ჩადგება. ყველანი ვხედავთ: იცვლება დრო, იცვლება სიტუაციები. ამის კვალობაზე ცალკეული ცნებების გადაფასებაც უნდა მოხდეს. თუ კაცი ბოლომდე ხელმოთავებული არ არის, თუ ცხოვრების დევიზად მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა არ გაუხდია, ამისთანებს საზოგადოება კიდევ გაუგებს, შეიწყნარებს. უბადალებული ტერმინი „კომბინატორი", „საქმოსანი" და „მომხვეჭელი" უნდა შეცვალოს სავსებით ნორმალურმა ცნებებმა; საქმიანი კაცი, გერგილიანი მუშაკი, ალღოიანი მეურნე, ბიზნესმენი, კომერსანტი და ა. შ. ერთიანი ძალისხმევით უნდა ვიღვაწოთ ისეთი წარმოებითი სტრუქტურებისათვის, რომლებშიც ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება საკუთარი პოტენციის რეალიზება, ამუშავდება სოციალური სამართლიანობის გარანტიები, შრომის შედეგების ობიექტურად განაწილების მექანიზმები. ოღონდ ერთი შეუვალი პირობა უნდა იქნას დაცული; ასეთი საერთო გაჭირვების ჟამს ნურავინ ნუ ეცდება საძრახი გზებით სიარულს, ღალატსა და ორპირობას. ყველაფერი უნდა დაექვემდებაროს საკანონმდებლო აქტების უზენაესობას, რკინისებურ წეს რიგსა და დისციპლინას. უნდა აღიკვეთოს თვითნებობის და ქაოსის მომენტები ყველგან, ყველა სფეროსა და რგოლში. დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება ერთსულოვნება, კონსოლიდაცია განსაცდელში ჩავარდნილი ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად.

სრულიად საქართველოს საზოგადოება „ქართველ შევარდენთა ლეგიონის" სამეგრელოს სადროშოს განცხადება

აგრომრეწვბანკის ზუგდიდის განყოფილებაში გახსნილია „ქართველ შევარდენთა ლეგიონი" სამეგრელოს სადროშოს ანგარიში. საზოგადოების ერთ-ერთი ფუნქციაა ერის ფიზიკური და სულიერი გაჯანსაღება, მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა.

„ლეგიონი" თავის მიზნებს განახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან თანადგომით. მას სჭირდება თქვენი ერთჯერადი შესაძლო ფინანსური დახმარება.

საწარმოების, დაწესებულებების, კოოპერატივების, სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მოსახლეობას შეუძლიათ შესაბამისი ფულადი სახსრები შეიტანონ ან გადარიცხონ შემდეგ მისამართით:

აგრომრეწვბანკის ზუგდიდის განყოფილება, „ქართველ შევარდენთა ლეგიონის" სამეგრელოს სადროშოს ანგარიში № 70013

პროფკავშირი: სოციალური გარანტიების წახნაგები

მხარში ვუდგავართ მშრომელ კაცს

ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციის გზაზე თვისობრივად ახალი სიტყვა უნდა თქვას პროფკავშირმა, რომელიც ტრადიციულად მოწოდებულია დაიცვას მშრომელთა ინტერესები, იზრუნოს მისი შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებისათვის. მიიღო რა დამოუკიდებელი ფუნქციონირების სტატუსი, საქართველოს პროფკავშირი დღითიდღე იფართოებს თავისი მოქმედების სფეროს, კომპეტენციის ფარგლებს, ეძიებს მშრომელთა სოციალური გარანტიების რეალიზაციის ქმედით გზებს. დემოკრატიზაციის გაფართოების ტენდენცია, ახალი ეკონომიკური სტრუქტურების დამკვიდრების პროცესი თავის მხრივ ხელ-ფეხს უხსნის პროფკავშირულ ორგანიზაციებს თავისი ქმედითი როლი შეასრულონ კოლექტივის ლოკალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. რომ იტყვიან, შეუვალ კედლად აღიმართონ ყოველგვარი ბიუროკრატიული დაწოლის წინაშე.

ადგილობრივი პროფკავშირის საქმიანობის სპეციფიკაზე და მისი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების გზებზე გვესაუბრება ადგილმრეწველობის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ლ. შენგელია:

—ნებისმიერ დროს სერვისის მუშაკებს ვალად აწევთ მოსახლეობის კეთილსინდისიერი მომსახურების ამოცანა. ახერხებთ თუ არა ადგილზე ჯანსაღი მიკროკლიმატის შექმნას?

—ჩვენი სამსახურის თავისებურება თავად განაპირობებს დარგის ყოველი მუშაკის შეგნებას, მომსახურების კულტურას, თავშეკავების ალღოს. მათზე დიდად არის დამოკიდებული ათასნაირი სოციალური სიძნელეებით განაწამები მოქალაქეების კეთილი ტონუსით დამუხტვის ამოცანა. ამ მხრივ დაკვირვებულ მუშაობას კეწევით ხელოსნებთან. ეს უკანასკნელიც სწორ გაგებას ავლენენ აღნიშნული მომენტისადმი. მაგრამ თავად ჩვენი სამმართველოც აწყდება მთელ რიგ სირთულეებს. კერძოდ. უკვე მერამდენედ გვიწევს აღნიშნა რიგი შემაფერხებელი ფაქტორებისა, რომლებიც სამმართველოს ფუნქციონირების სტაბილურ დონეს დაბლა სცემს. კვლავ ერთერთ საბრძოლო პოზიციად რჩება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხი. ჯერ კიდევ ვერ გადაგვიჭრია. მომსახურების ობიექტების დისლოცირების საკითხი. გაკატარეთ რიგი ღონისძიებები ცალკეული ობიექტისათვის დამოუკიდებელი საქმიანობის უფლებების მინიჭების მიზნით. ორმხრივი საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმებით მათ მართალია ხელ-ფეხი ეხსნებათ, მაგრამ წინააღმდეგობები იჩენს თავს სათანადო იარაღების, საჭირო მასალების მოპოვების სფეროში.

—მოგეხსენებათ, სამაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თავისთავად ითხოვს მშრომელთა ეკონომიკური დაინტერესების ახალი მექანიზმების მომარჯვებას. რა ზომებს მიმართავთ ამ კუთხით?

—ლაპარაკია მუშა კაცის სოციალური დაცულობის პრობლემაზე. აქაც პროფკავშირმა თავისი სიტყვა უნდა თქვას. ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შრომის კომიტეტის მიერ შემუშავებული ახალი ნორმატივებით, გარკვეულ რეზერვებს ვეძიებთ დარგის მუშაკების შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებისათვის. შევიმუშავეთ ნორმატივები, რომლის მიხედვით რეგულირდება მუშა-მოსამსახურეების ათვის გარკვეული კომპენსაციის და სხვა სოციალური შეღავათების მიცემის საკითხი. ვცდილობთ შეეინარჩუნოთ მუშაკთა ხელფასის გარანტირებული მინიმუმი, ვამოვნახოთ წყაროები თითოეული ხელოსნის დატვირთვის კოეფიციენტის ამაღლებისათვის. ვცდილობთ სწორად, მიზანდასახულად მოვიხმაროთ საწარმოებთან არსებული სოციალური განვითარების ფონდი. სხვადასხვა სახის დახმარება ეწევა მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, ცუდი ეკონომიკური პირობების მქონე მუშაკებს.

—ხომ არ დაასახელებდით ობიექტებს და კონკრეტულ პირებს, ვინც ამ რთულ, არასტაბილურ ვითარებაში მაინც ახერხებს ნორმალურად მოემსახუროს კლიენტს?

—სხვებთან შედარებით სტაბილურ კოლექტივად გამოიყურება მომსახურების სახლი „ცისარტყელა“, ფეხსაცმლის კერვა-შეკეთების გაერთიანება, საწესჩვეულებო მომსახურების საამქრო (უფროსები ვ. ბუკია, ლ. გვაჯაია, ლ. ჯგერენაია). აღსანიშნავია ხელოსნების ბ. გაბისონიას, ა. რაფავას, ნ. გოგიას, ი. ჩილაჩავას. ვ. ღურწკაიას, ა. ქობალიას, კ. გობეჩიას და სხვათა კეთილსინდისიერი მუშაობა.

უახლოეს ხანებში გათვალისწინებულია ფართოდ იქნას ათვისებული ხელოვნური ფილების დამზადების ტექნოლოგია, საოჯახო ხერხის კბილანების წარმოება. დასახულია ღონისძიებები შინ მომსახურების პროგრესული სახეობების დანერგვისათვის.

ჩვენი მუშაობის ეფექტურად წარმართვას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სისტემის ობიექტების პრივატიზაცია. ეს პროცესი რატომღაც ყოვნდება. აღნიშნულ საკითხში გარკვეულობის შეტანა ძალზე საშურ საქმედ გვესახება.

დიდი ხანია ვაკვირდები გაზეთ „ოდიშის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებს, მაგრამ გამოკვეთილად არავინ წერს ხალხის სატკივარზე. ამ რამდენიმე ხნის წინ გოჩა ფიფიას წერილი წავიკითხე, მაგრამ გაიკვირდა გაეცი, ვის წისქვილზე ასხამდა წყალს ეისი ხატოვანი ფრაზები.

„შაგი ბაზრის“ ძიებები ხალხმა დიდი ხანია იცის. ათეული წლების განმავლობაში ძოძძარაგებელი ბახები ფასების დამახეხჯვებით ამარაგებდნენ სავაჭრო ორგანიზაციებს. ეს უკანასკნელნი კი ძამასისხლად ყიდდნენ ყველაფერს. იმასაც ვხედავდით, რომ ეს ფასების მომატება სხვაგან შედარებით ზომიერ ფარგლებში ხდებოდა, ზუგდიდში კი არხახულ საზღვრებს აღწევდა. დღეს გამკითხავის როლში არავინ გვევლინება. მშრომელი ხალხი ყოველგვარ სიტუაციაში ჩაგრულ ძდგომარეობაშია. რატომ? პასუხი ერთია—ვისაც ფული ჰქონდა, კიდევ იმან მოიხვეჭა მოსახვეჭელი, ვინც მხოლოდ ხელფასზე ვცხოვრობთ იმათ ვიკითხოთ...

ყოველმხრივ ვეთანხმები გ. ფიფიას წერილში გამოთქმულ აზრს, რომ მდგომარეობის ანალიზმა მთავრობის შეცდომებამდე მიგვიყვანა, მაგრამ განა სწორია ის, რომ კომერსანტები და სპეკულანტები არაფერ შუაშია, იქნებ ისიც ვთქვათ, რომ ჩვენი მაღაზიის გამყიდველებიც სწორად იქცევიან? როგორც ამბობენ აქ სარეალიზაციო საქონელი სოხუმის ბაზარზე იყიდება, შონაგები რესპუბლიკის სასაოგებლოდ სალარომი მიდის?

ჩვენი დანაზოგით გამდიდრებულები და გაამაყებულები ზოგჯერ შეკითხვებიც არ გვპასუხობენ. და თუ არ მოვეწონეთ, კარგადაც გამოგვლახძლავენ. წარსულში წლების ბანძილზე უზრუნველყოფილნი იყვნენ კომპარტიის „ბოსები“, რომლებსაც ხალხის მოსატყუებლად ლოზუნგად ჰქონდათ უშრომელი შემოსავლების აღკვეთა.

მე თუ მკითხავთ, უზომო ფული და გადამეტებული სიმდიდრე როდი ხდის ადამიანს ბედნიერს. მთავარია საშუალოდ მაინც ვიყოთ დაკმაყოფილებული, არავის უპირდეს, ვიყოთ დემოკრატიული სამართლიანი, იყოს ჩვენს შორის დანდობა, სიყვარული, ანალმობა, ყველი ჰქონდეს გასული კერაგობას, ფარისევლობასა და ღალატს.

კარს მომდგარ საკრებულოს არჩევნებში გამოვიჩინოთ საზრიანობა, ავირჩიოთ მხოლოდ პატიოსანი, წმინდა, მართალი ადამიანები, რომლებსაც კოოპერატიული და კომერციული მაქინაციებით ხელები არ შესვრიათ.

დღეს ნდობა „მრგვალმა ძაგიდამ“ დაიმსახურა, მაგრამ გაძარჯვების მერე მას ბევრი არასათანადო კომპეტენტურობის პიროვნება მიეტმასნა. იმ პარტიას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ხალხის მომავალი ბედი, მართებს წასებთან ყოველდღიური კოსტექტი, კავშირი ყველა ორგანიზაციასა-დაწესებულებასთან, ოათა უკეთ გაშუქდეს ხალხის სატკივარი და წამალიც დროულად მოიძებნოს.

გოგონა კალანდია,
საქალალდმრეწვის № 1 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მეთოდისტი

მშრომელთა წერილებიდან

იყოს ჩვენს შორის სიყვარული...

„ალპური ჩაი“

მოის მდელოს სურნელება ჰეშმარიტად შეიგრძნეს თავიანთ ბინაში ჩაის მოყვარულებმა, რომელთაც „ალპური ჩაი“ შეიძინეს საქართველოს სასურსათო მაღაზიებში; ეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი განკუთვნილია სასიამოვნო გემოს სამკურნალო სასმელის დასამზადებლად. მისი დამზადების ნედლეულია კავკასიური დეკის ყვავილები და ფოთლები. ეს არის ენდემური მცენარე, რომელიც ხარობს ალპიურ ზონაში. ამ სიახლის გამოშვება ითვისა კოოპერატივმა „ელექსირმ“, რომელიც შეიქმნა გორის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნეობაში.

—ამ სასმელის ჩამკურნალო თვისებები,—თქვა სატყეო მეურნეობის დირექტორმა ვლადიმერ ზუმბულიძემ,—ეჭვს არ იწვევს. დიდი ხანია რაც სახალხო მედიცინა ფართოდ იყენებდა მის სამკურნალო თვისებებს. მაგალითად, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის, თირკმლების, ანდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს.

ინგრამიანად დაფასებული პირველი 2 ათასი კილოგრამი „ალპური ჩაი“ მიიღო რესპუბლიკის სავაჭრო ქსელმა.

(საქინფორმი)

სისტემის რეორგანიზაციაზე უნდა იფიქროს

დღევანდელ საჭირბოროტო პრობლემებს შორის ერთერთი პირველი რიგის მისახედ საკითხად მესახება ვაჭრობის სფერო. ყველას კარგად მოეხსენება, ავტორიტალური სისტემის პერიოდში რამდენი ვნება მიაყენა ამ დარგმა პატიოსან მშრომელთა ჯიბეს. უკანონობა ხდებოდა ყველას თვალწინ, დღისით, მზისით. სამწუხაროდ, უწესრიგობას დღემდე არ ეღება ბოლო. საშიში ინერციის ძალა არც თუ ისე იოლად აღსაკვეთი აღმოჩნდა. ცალკეული უღირსი პირები ისევ აფარებენ თავს აღნიშნულ სფეროს. მეტად დამაღონებელია კომერციული მაღაზიების სიმრავლეც. ეს ხომ ლეგალიზებული სპეკულაციაა, თუმცა ვიცი განსხვავებული აზრიც არსებობს. არა მგონია, ამ საკითხის ასე დატოვება მიზანშეწონილი იყოს.

თუ ვაჭრობის დარგში გამეფებულ უწესრიგობას საბოლოო წერტილი არ დაესვა, მშრომელთა გულისწყრომის რადიუსი კიდევ უფრო გაიზრდება. თუ ამ პრობლემას არ მოეკვლო, მშრომელთა თვალში ახლანდელი ხელისუფლების ავტორიტეტსაც ძალზე გაუჭირდება. მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც ყოველივე ამის მოგვარება იოლ, ერთი ხელის დაკვრით გადასაჭრელ საქმედ მიიჩნევს. მაგრამ ამთავითვე საჭიროა მტკიცე, შეუპყარი, სისტემური მუშაობის გაშლა ამ მიმართულებით, მარტო რეიდებითა და შემოწმებებით ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგებს. გაბედულად უნდა დაინერგოს სისტემაში ახალი, პროგრესული სტრუქტურები. ხოლო ისინი, ვინც ასეთ რთულ ვითარებაში პატიოსან ადამიანთა მოტუუების ხარჯზე ხელების მოთბობის პოლიტიკას ატარებენ, გადაკრეთ უნდა მოიკვეთოს სისტემიდან.

ა. გაგუნია,
ჩვენი კორ.

ეს დღეები სოფლად

უმოკლეს დროში

ჭითაწყარის კოლმეურნეობის მშრომელები მოუთმენლად მოელიან ამინდის ხელსაყრელ დღეებს. 200 ჰექტარზე გაშენებულ ჩაის პლანტაციიდან 120 ჰექტარზე შეტანილია სასუქები, ჩატარებულია გადაბარვა-გაფხვიერება. სულ რაღაც ათ დღეში (ნაგულისხმევია კარგი ამინდი) დამთავრდება ჩაის ქვეშ ყველა სამუშაო.

მობილური ოთხი რგოლი მზადაა გასხვლისათვის.

გამართულია კოტე მაქაცარიას, ალიკო აკობიას, ენვერ ბუკიას, ნუგზარ კუტალიასათვის მიმაგრებული ტექნიკა. ბეჯითად იშრომეს რემონტიორებმა ვიტია არტიმენკომ, ოთარ ლატარიამ და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილება არსებობის რამდენიმე კვირასლა ითვლის. გვესაუბრება მისი თავმჯდომარე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი **თენგიზ ღუგელაძე.**

—ბატონო თენგიზ, ალბათ დამეთანხმებით, რომ პარტიების, საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.. ორიოდე სიტყვა საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მიზნებისა და შექმნის წინაპირობებზე.

—თქვენ მართალი ბრძანეთ. დღეს ღიახაც არავის უკვირს და არავითარ უჩვეულობას არ წარმოადგენს ახალი და ახალი პარტიებისა და საზოგადოებების შექმნა. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე საზოგადოებაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება მეტად დაძაბულია და ამ დაძაბულობას ზოგჯერ თვით ერთი პარტიის შიგნითაც აქვს ხოლმე ადგილი, ჩვენი პარტიის შექმნაც ასეთ პირობებში მოხდა. კერძოდ, არსებულ საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირში მომხდარი უთანხმოების გამო ერთი ნაწილი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა ჩამოშორდა პარტიის ძირითად ბირთვს. ამ ბირთვს კი, როგორც მოგეხსენებათ, ხელმძღვანელობდა უკვე საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პრეზიდენტი, ბატონი ალექსანდრე ბრეგაძე. საქმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციაა და მისი მიზანია არა მარტო პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობა. საქმე-ს არსი მის დასახელებაშივე თვალნათლად წარმოჩნდება; ქრისტიანობა და დემოკრატია ქართველთათვის და საქართველოსთვის სისხლხორცეული მცნებებია. ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ ქართული ახალგაზრდული ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა საქმითაც დაამტკიცებს თავის სულიერ და ფიზიკურ სიახლოვეს საქართველოსთან და ქართველი ერის უძველეს ისტორიასთან.

—როდის გაჩნდა კავშირის ჩამოყალიბების იდეა?

—ჩვენი კავშირის დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა ამა წლის 11 იანვარს, ხოლო რაც შეეხება იდეას, იგი ორიოდე თვით ადრე დაგვებადა. ჩვენ, ბატონ პრეზიდენტთან ერთად, საინიციატივო კომიტეტის წევრებმა მრავალგზის ავწონ-დავწონეთ ყველა ორგანიზაციული თუ სხვა ხასიათის საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღეთ საქმე კავშირის დაფუძნების გადაწყვეტილება.

—თქვენ დაგვევალათ ზუგდიდში საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის რეგიონალური განყოფილების ორგანიზება. თუ შეიძლება, გაგვაცანით თქვენი სამომავლო გეგმები.

—მე, აგრეთვე, განლავართ საქმე-ს საკოორდინაციო საბჭოს წევრი. საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე დამევალა ქალაქ ზუგდიდში ჩვენი პარტიის რეგიონალური ორგანიზაციის შექმნა. არჩევანი სწორედ ჩემზე იმიტომ შეჩერდა, რომ წარმოშობით ზუგდიდელი ვარ და, ბუნებრივია, უკეთ ვიცი ქალაქისა და რაიონის სპეციფიკა.

ახლა რაც შეეხება ჩვენს სამომავლო გეგმებს: თავდაპირველად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი კავშირი „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრია. ამით, მე მგონი, ნათელია ჩვენი პოლიტიკური გზა. უკვე დავამყარეთ საქმიანი კონტაქტები საქართველოს ჰელსინკის კავშირის ზუგდიდის რეგიონალურ ორგანიზაციასთან, პირადად მის ხელმძღვანელ ბატონ ინდიკო ქობალიასთან, რომელმაც მოიწონა ჩვენი მოქმედების გეგმა და სრული მხარდაჭერა აღგვითქვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკური მოღვაწეობის გარდა ჩვენს ინტერესებში შედის საზოგადოებრივ-საქველმოქმედო საქმიანობაც. ეს გამოიხატება ჩვენს მიერ სხვადასხვა სახის ღონისძიებების, ახალგაზრდული შეხვედრების, პოეზიის საღამოებისა თუ სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებაში. საერთოდ, ჩვენი მიზანია ქალაქისა და რაიონის ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური მომზადების დონის ამაღლება. ყოველივე ამის განხორციელებისათვის კი საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობის მხრიდან აქტიურობისა და მონდომების გამოვლენა.

ჩვენ მიზნად ვისახავთ ზუგდიდის რეგიონში არსებული ისტორიული თუ ეთნოგრაფიული ძეგლების აღდგენასა და მათ დაცვას. ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსული გამოსახულია მამა-პაპათა მიერ სისხლითა და ოფლით ნაძერწ ტაძრებში, ციხეებში, ტბორებში. ბატონ სწორედ ჩვენი — ახალგაზრდების ვალია გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ მათ, რითაც გავუფრთხილდებით და მოვუვლით საქართველოს.

—ჩვენი ხსნა სულიერ განწმენდაშია. ყოველი ქართველის გზა წმინდა ტაძრისკენ უნდა მიდიოდეს... თქვენ რას იტყვით?

—პეშმარიტად, ქართველი ერი ქრისტეს რწმენამ და ვაზის ჯვარმა გადაარჩინა.ათასი ქარცეცხლი და ჭირვარამი გადაატანინა უფლის ჩრდილმა. საქართველოს. რა დასამალია და, რუსეთის იმპერიის კლანჭებში ტანჯვამ ქართველ ერს არაქათი გამოაცალა. ამას კი გაბოროტებულმა „თეთრმა დათვმა“ სპარსეთის შაჰის—აბას პირველისეული პოლიტიკით მიაღწია, მაგრამ, მადლობა ღმერთს, მთლად არ ჩამკვდარი ქართული დვრიტა, რომელმაც პატარა გუნდა ზვავად აქცია და მთელი საქართველო გამოაფხიზლა. ქართველმა ერმა უარყო ბარაბას გზა ! და დვთისგან დაწყევლილს ზურგი აქცია.

საქართველო დამოუკიდებლობისათვის იბრძვის...

ქართველთა ლაშქარს „შუბლშემართული თეთრცხენოსანი“ მხედარი მიუძღვის...

—გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის. ღმერთი მფარავდეს ჩვენს საყვარელ სამშობლოს!

—ამინ!

„ერმა უარყო ბარაბას გზა“. . .

საზეიმო გაცილება

ჭიათწყარის კოლმეურნეობის კლუბში თავი მოეყარათ სოფლის მშრომელებს. საგანგებოდ მორთულ მაგიდებს ამშვენებდა წითელი მიხაკები. შრომაში გამორჩეული რვა მამაკაცი იჯდა სახელდახელო მაგიდასთან. ძნელად თუ დაიჯერებდა მნახველი რომ მოსულა მათი საპენსიო ასაკი და სწორედ მათ გაცილებას ეძღვნებოდა ეს საღამო.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ორდე ცაავა სათითოდ უყვება მათ მიერ განვლილ გზაზე. ფეხზე მოწიწებით დგება წლების მანძილზე კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვალიკო სართანია. კაცი მართალი, სოფლის მოამაგე. შემდეგ აპოლონ ქვარაიაზეა საუბარი. მას ეპითეტები არ სჭირდება: 28 წელი იმოღვაწა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, იმოღვაწა კეთილსინდისიერად. ამავე სოფლის კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარის ზინა ქვარაიას ვაუმა მოიხადა ვალი სამამულო ომში, შემდეგ კი ორ ათეულ წელზე მეტ ხანს სოფელს ედგა სათავეში. საზეიმოდ გააცილეს საბჭოს მდივანი ნორა წურწუმიაც, რომელმაც ნახევარი საუკუნე დაჰყო ამ თანამდებობაზე. საქებარ სიტყვებს არ იშურებენ ბრიგადირების: ვალიკო დარასელიას, ბოჩო უბილავას, ჭიკიკო ჯაბაშიას მისამართით. მშენებლობის ბრიგადირს გვანჯი ჩილაჩავას, რომელმაც მარჯვენა აქვე დაჰკარგა შრომის პროცესში, განსაკუთრებული მოფერება ერგო. ითქვა სამადლობელი ახალგაზრდა სპეციალისტების აღმზრდელის ინჟინერ-მექანიზატორ გული შენგელიას მისამართით.

პენსიაზე გასულთ მიმართავენ: მთავარი აგრონომი ლამარა კვარაცხელია, მთავარი ეკონომისტი ნოდარ გრიგოლია, ნელი მოსია, ჯული ყოლბაია, რევაზ დარასელია, მურთაზ დარასელია, ნარგიზა თოფურიძე და სხვები.

ნაჯაფარ მამებს სიამაყით შეჰყურებენ შვილები, სწორედ ისინი, ვის ხელშიაც გადავიდა ესტაფეტა, აი, ისინიც: სინეზა ქვარაია, რამაზ უბილავა, გვანჯი ჩილაჩავა ოთხი შვილი, თემურ ჯანაშია, ვახტანგ შენგელია, კობა დარასელია და სხვები.

პენსიაზე გასულთ გადაეცათ საჩუქრები.

ბ. ასათიანი.

ძნელად თუ დაიჯერებდით

საკითხის დასმის მიზნით

მართალია, დღეს გვიჭირს მაგრამ. . .

გული მწყდება, რომ ზუგდიდში არ არის ქორწინების სასახლე. რატომ არ უნდა ჰქონდეს იგი ჩვენს ქალაქს. იქნებ იმიტომ, უყურადღებონი ვართ და საკუთარ თავს ნაკლებად ვცემთ პატივს, იქნებ გამრავლების პრობლემა არ გვაწუხებს, იქნებ ზედმეტად ვთვლით ლამაზ ცერემონიალს.

ამ სამახსოვრო დღის ცერემონიალის მთავარი მომენტი ხელის მოწერაა, იგი კი დღემდე ცოტა არ იყოს უსახურად ეწყობა. იქვე ფორმდება გარდაცვალების აქტიც და განქორწინებაც...

ჩემი გონებიდან ვერ ამოსულა ერთი შემთხვევა. მექორწინეები სულ ხუთი-ექვსი ახალგაზრდის თანხლებით ვეწვიეთ მმაჩს. კარგი გუნება-განწყობა გვქონდა. დარბაზში დედა-შვილი შემოვიდნენ. მათ სახეებზე ღიმილი გამქრალიყო. ეს განწყობა ჩვენც გადაგვედო. მათ განქორწინების სარეგისტრაციო ფურცელი მოითხოვეს. ახალგაზრდა ქალი ავსებდა გრაფებს.. ჩვენ ვდუმდით, გაქვავებულნი...

დღეს საგრძნობლად იკლო ოფიციალური რეგისტრირების რიცხვმა. ჯვარისწერა ურჩევნიათ, ეს კი აღქმაა დადებული ღვთისა და ერთმანეთის წინაშე. მაგრამ იგი ჯერჯერობით ბოლომდე ვერ ცვლის ბიუროს. საჭიროა რიგიანად წარიმართოს შეუღლებულთა აღრიცხვიანობა, რადგან სწორედ აქედან გამომდინარე ხდება დემოგრაფიის, ბინის ფართის გამოყოფის, სხვა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა.

მართალია, დღეს გვიჭირს, მაგრამ თავისუფლება ბევრ რამეს შეგვაძლებინებს.

ნანა გეთია.

სხეულიც და სულიც ახალგაზრდა რომ გვქონდეს

იმისათვის, რომ მოსახლეობის ფართო მასებს შორის გავრცელდეს ჯანმრთელი ცხოვრების წესი, თბილისში გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ჯანმრთელობის ცენტრი.

ჩვენ ექიმთა დიდი შტატი გვაქვს, უთხრა საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ კორესპონდენტს ცენტრის დირექტორმა —დოცენტმა გიგი ყირმელაშვილმა. პაციენტებს ემსახურებიან კარდიოლოგები, ფსიქოთერაპევტები, ექსტრასენსები, სექსოლოგები, მასაჟისტები, დიეტოლოგები და სხვა სპეციალისტები. ყველა საჭირო კლინიკურ-დიაგნოსტიკური და ბიოქიმიური გამოკვლევა ადგილზევე ტარდება. დაავადების გამოელენაში ექიმებს ეხმარება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა.

ცენტრის დაარსებელია ფიზკულტურის ინსტიტუტი. ეს მან დააფინანსა ცენტრის მშენებლობა, მიხი აღჭურვა, ასე, რომ ჩვენთან მოსულებს შეუძლიათ ისარგებლონ საცურაო აუზით, ჩოგბურთის კორტებით, მძლეოსნობის მანეჟით.

—ჩვენი ცენტრი—სამეურნეო ანგარიშიანი ორგანიზაციაა. მაგრამ კოოპერატივების განსხვავებით—ფასები უაღრესად სიმბოლურია. ისინი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

თანადგომა

შავიზღვისპირა კონსორციუმმა „კოლხამ“ (პრეზიდენტი ოთარ ფაცაცია) მისაბაძი ქველმოქმედება გამოიჩინა—ზუგდიდის „ოდიშის“ საფეხბურთო კლუბს საჩუქრად გადასცა „იკარუსის“ ტიპის ავტობუსი და 10 ათას მანეთად ღირებული სპორტული ფორმები. ამის გარდა, უახლოეს მომავალში გუნდი მიიღებს ერთ საჩუქარს—მიკროავტობუს „რაფს“.

კლუბ „ოდიშის“ ხელმძღვანელობა კმაყოფილებას გამოხატავს აღნიშნული ფაქტის გამო და მადლობას უხდის კონსორციუმ „კოლხას“.

რ. გაბისონია.

წერილი რედაქციას

რა აუღებელი ციხე-სიმაგრე ჩვენა ვართ?

გასული წლის 21 დეკემბერს გაზეთ „ოდიშის“ ფურცლებზე დაიბეჭდა კრიტიკული პუბლიკაცია ზუგდიდის სატელევიზიო გადამცემ სადგურში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. წერილის ავტორები კავშირგაბმულობის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები დ. ქავთარაძე, ზ. ფაილოძე, ბ. ადამია გვადანაშაულებდნენ იმაში, რომ თითქოსდა ჩვენი ოჯახი ბლოკირებას უკეთებს ზუგდიდის სატელევიზიო სადგურს და ამით ხელს უშლის მის ნორმალურ მუშაობას.

ამის თაობაზე გაზეთ „ოდიშის“ 8 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ზუგდიდის სატელევიზიო სადგურის მუშაკთა კოლექტიური პასუხი, რომლითაც მკითხველებს ვაუწყებდით, რომ წერილში მოყვანილი ყველა ფაქტი აშკარა ცილისწამებაა და ვითხოვდით კავშირგაბმულობის სამინისტროსა და ადგილობრივ მმართველი ორგანოების მიერ გამოყოფილ კომისიას დეტალურად შეესწავლა საკითხი და ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულიყო ვინ არის მტყუანი და ვინაა მართალი.

ამ წერილის გამოქვეყნებიდან თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ საკითხის შესასწავლად კომისიის გამოყოფა არავის უფიქრია. ასეთ აწყნელ-დაწყნელ დროს, როცა რესპუბლიკაში რთული პოლიტიკური ვითარებაა, ჩვენ სულაც არ გვიკვირს, რომ ზუგდიდის ტელეგადამცემ სადგურში შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად ვერავინ მოიცალოს. მაგრამ გვიკვირს რატომ იცლის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე იმისათვის, რომ ჩვენს შესახებ არასწორი ინფორმაცია მიაწოდოს „ოდიშის“ მკითხველებს, იგი ყოველნაირად ცდილობს ზუგდიდის სატელევიზიო სადგურში არაჯანსაღი ატმოსფეროს მთელი სიმძიმის ცენტრი ჩვენს ოჯახზე გადმოიტანოს. ეს ტენდენცია აშკარად იგრძნობა კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილის ვ. სალიბეგაშვილის წერილში— „გადავწყვიტოთ ერთობლივად“, რომელიც 7 თებერვალს გაზეთ „ოდიშში“ დაიბეჭდა. ამ წერილიდან ისე ჩანს, თითქოს ჩვენი ოჯახი აუღებელი ციხე-სიმაგრე იყოს და მისი დამორჩილება არავის შეეძლოს. ჩვენის შიშით თურმე სამინისტროს მუშაკები და სპეციალისტები ზუგდიდში ჩამოსვლას ვერ ბედავენ. საინტერესოა, ვინ მიაწოდა ასეთი ინფორმაცია მინისტრის მოადგილეს. ან თუ მიაწოდეს, რატომ არ ინება გადაემოწმებინა რამდენად სწორია იგი. ჩვენს შესახებ, რაც ამ წერილში ფაქტებია მოყვანილი, სრული სიცრუეა. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ. ჩვენ არავის არ ვდევნით და ხელს არავის ვუშლით. გვინდა მხოლოდ ჭეშმარიტება დადგინდეს. ანაში მაშინ დარწმუნდება კავშირგაბმულობის სამინისტროც და ადგილობრივი მმართველობაც, როცა კომპეტენტური კომისია დეტალურად შეისწავლის სატელევიზიო სადგურში შექმნილ მდგომარეობას.

გვიკვირს მხოლოდ ერთი რამ. რატომ ეკიდება კავშირგაბმულობის სამინისტრო ზუგდიდის სატელევიზიო სადგურში შექმნილი მდგომარეობის შესწავლას ასე ცალმხრივად. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჩვენთან საკითხის შესასწავლად კავშირგაბმულობის სამინისტროდან არავინ არ მოსულა, არავის არაფერი არ უკითხავს და როგორ შეიძლება წინასწარ ასეთი დასკვნების გამოტანა.

ჩვენ მოვითხოვთ ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს ჭეშმარიტება.

მ. გრიგოლაია,
შ. როგავა.

მილოცვები, სურვილები

ზვიადი, ზაზა, ზურაბი, იკა და მაია გაწერელიები ულოცავენ თავიანთ ბიძაშვილს გია ვალტერის ძე გაწერელიას დაბადებიდან 16 წლის შესრულებას და უსურვებენ სასახელო მამულიშვილობას.

მეუღლე ნელი, შვილები ილონა, გოჩა, გიგა. რძალი ინგა გოგუაძე, შვილიშვილი თამრიკო, და მეგი, ძმა ტურიკა, რძალი ციალა გიორგაძე, სიძე კოტე ხასაია, დისშვილები: მალხაზი, დათო, ძმისშვილები: მარიკა, ტარიელი, ბესიკი, დეიდები: ნურა, ნუცა, ბიცოლა ვენერა, ცოლისდები ლოლა, ნაზი, იზო, ცოლისძმები: დავითი, ემილი ღვინჯილიები ოჯახებით იუწყებიან

ვახტანგ ანანიას ძე კვიტაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21, 22 თებერვალს. დაკრძალვა 23 თებერვალს. გამოსვენება 17 საათზე, ქ. ზუგდიდი, ნინოშვილის მეორე შესახვევი 2.

შვილები: ანიკო, ნათელა, ლამარა, შვილიშვილები: სოფიკო. ლაშა, მალხაზი ქანთარიები, ნინო, მერაბი, ნუგზარი კვარაცხელიები, მაია, ირაკლი შურღაიები, ლალი, ელისო, ელიკო ჯანაშიები, რძლები: ლიანა ჭანტურია, ნუცა, ლენა ქანთარიები, ლიანა შერვაშიძე, მარი ღურწკაია, სიძეები: სერაპიონ, შახი კვარაცხელიები, ლიმერი ჯანაშია, რეზო მიქაუტაძე, ბიძაშვილები: იროდი. შალვა, ვარო, შუშანიკა, ვენერა, გოგოლა ქანთარიები, აკაკი. რეზო ბოხუები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ადამურ გუჯუს ძე ქანთარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21 22 თებერვალს. დაკრძალვა 23 თებერვალს სოფელ ყულიშკარში.

ლესია უკრაინკა—120

120 წელი სრულდება სახელგანთქმული უკრაინელი მწერალი ქალის ლესია უკრაინკას დაბადებიდან. ეს თარიღი ახლობელია ქართველი საზოგადოებისათვის, რამეთუ ლესია თავისი დრამატული ცხოვრებით და შურით გათანგულ ქვეყანას, არ დადუმებულიყო ქართველი გუთნისდედის იმედიანი ოროველა.

ერთი იმ პოეტთაგანი, ვინც ათასი ჭირ-ვარამით გულგასენილ ქართველ ხალხს სულიერი მეგობრობა შესთავაზა, მწედ

ხსოვნა გულისა

შემოქმედებით დაკავშირებულია საქართველოსთან, ჩვენი ხალხის სვე-ბედთან.

ისტორიას კეთილი, აღმშენებლობითი და იმედიანი პერიოდები არ დაუშურებია ჩვენი ხალხისათვის. მაგრამ ოდითგან შენების ამ ჟინს სევდიანი დღეების აჩრდილი, შიში და ზაფრა ჩაენაცვლებოდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, ძნელბედობის ჟამს ღვთის ანაბარა მაინც არაოდეს დარჩენილა ჩვენი წინაპარი. მის გვერდით მდგარა სომეხი, თუ ბერძენი, ყივჩაღი, თუ ინგუში. მაგრამ მარტო ხმალთა ტრიალი როდი განამტკიცებდა ქვეყნის ბალავარს. ძირძველი ციხე-კოშკების თავზე ავად მოჯარული ყომრალი ღრუბლების გასაფანტავად პოეტის ჩანგიც ყელერდა, რათა მხნეობა არ დაეკარგა შინა და გარეული მტრის მახვილითა და მეოხედ მხარში ამოუდგა, ლესია უკრაინკა გახლდათ. ერთი პერიოდი მან საქართველოშიც იცხოვრა. თელავი და ხონი, სიღნაღი და ქუთაისი უამებდა დიდ პოეტს მშობლიური ვოლინოსაგან დაშორების ტკივილს. აქ იწერება „ულრანი ტუე“, „სისხლიანი ველი“, „ტყის სიმღერა“.

სიცოცხლის ბოლო დღეები სურამში, ზინდისის გორაზე ინაცრებოდა. რკინიგზელ პაპავას სახლიდან უკანასკნელად უმზერდა სურამის ლეგენდარულ ციხეს, აქვე ჰპოვა სამუდამო ბინა ბრინჯაოს ქანდაკებაში.

საქართველო კუთვნილ პატივს მიაგებს უკრაინის სათაყვანებელი შვილის ხსოვნას და მადლიერების ეს გრძნობები პოეტის სტრიქონებშიც აყელერდა: „არ დაცხრი, ცეცხლი არ გაგინელდა, და ჩასაქრობად ვინ გაგიმეტებს, შენი ხმა ახლავს უკრაინელთა ახალ ცხოვრებას, ახალ იმედებს. ჩვენი [illegible] ერთგულო მგზავრო, ეს გამარჯვება ხალხმა გარგუნა. თვალი ქვეყანას რომ შემოავლო, ძმობა ზედ შუქით ამოქარგულა“.

ასე იყო. ჭეშმარიტი ძმობისთვის ქართველი კაცი ყოველთვის ხსნიდა გულს. ამიტომაც დღემდე კეთილ ემოციებს ბადებს ყოველ ჩვენგანში უკრაინა, ლესიას სამშობლო და ჩვენი დავით გურამიშვილის სულიერი ნავსაყუდელი. ვახსენებთ ამ გულუხვ ქვეყანას და ჩვენს წინ ცოცხლდება დავითის სახე. ბილიკი ლამისყანიდან ზუბოვკისაკენ, გოლგოთას გზაა. ზუბოვკასა და მირგოროდს შორის გაწოლილ მტვრიან შარაგზაზე, ვინ იცის, რამდენჯერ მოლანდებია მამულიდან გადახვეწილ პოეტს საქართველოს ხატება. აკი არ ეღირსა ზიო მდვიმეში დამარხვა. და მისი საბოლოო ძვალთამესალაგი იქ, ხოროლის ლერწმიანებში გაითხარა.

და დღეს მადლობას ვეუბნებით უკრაინას იმ ადამიანური სითბოს გამო, დავით გურამიშვილს რომ მიაგება. მადლობა შენც, დიდო ლესიას წმინდა აჩრდილო ძმობის უკვდავი საგალობლისათვის.

ჯ. თელია.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია

და ვერა, ძმა გერმანე, ძმისშვილები ჯემალი. იამზე, ტრისტანი ნაჭყებიები, დისშვილი ვალერი. გაბელია, სიძეები ტრიფონი გაბელია, კარლო ანთია, რძალი ინეზა გაბელია . ბიძაშვილები ლიზა. აბელი, ჰამლეტი ნაჭყებიები, მახდაშა, ლილი. გოგოლა. თინიკო. ეთერი. ლუარა, ლუდმილა. ქოქოშა, ემზარი ბერულავები, მამიდაშვილი ცოტე შანავა ოჯახებით, ახლო ნათესავეიბით იუწყებიან

თათუშა პავლეს ასულ ნაჭყებიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21, 22 თებერვალს. დაკრძალვა 23 თებერვალს სოფ. ჭკადუაშში.

შვილები: ნინელი. ჯულიეტა, ლალი, აბესალომი, და დაშა, ძმა გრიშა, რძლები: ნელი ჯიქია, ვალია ჯინჯოლია, ტურფა როგავა, სიძე ველოდი ცხადაია, შვილიშვილები ლელა, სოფიკო, მალხაზი, მერაბი, დათო, ზვიადი ჯაბუები, ნინო. გიორგი. გოჩა ცხადაიები, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ნასტია ივანეს ასულ კულიკოვა-ჯაბუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21, 22 თებერვალს. დაკრძალვა 23 თებერვალს 17 საათზე, გამოსვენება ცაბაძის ქ. 49.

ზუგდიდის ჭადრაკის ფედერაცია და საჭადრაკო კლუბი „მხედრული“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ჭადრაკზე თავდავიწყებით შეყვარებული, ნიჭიერი მოჭადრაკე,

ხოსო ბესარიონის ძე კაკულია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის 1966 წლის კურსდამთავრებულები და პედკოლექტივი იუწყებიან

ხოსო კაკულიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ჟუნა. შვილები: დუდა, დოდო, იგორი. ეხია, ციური, ძმა ხარიტონ, ოძლები: ხახული კაკულია, ზაირა ქირია, ხაზი გუგუია, სიძეები: რემიკო ჩხაველია, ზუიო ხახალია, შვილიშვილები: ფრიდოხი, ავთანდილი, ალუკა. ოდელი ქილოკავეი, ლალი გიგიხეიშვილი, ბადრი, ბესიკი, თამრიკო, ხიკო დარასელიები, ხათუხა, სოფიკო, მირახდა. კესო, დარიკო, თამიკო, ხვიჩა ჩხაპელიები, რაულ ხახალია, ძმისშვილები: ჯემალი, ნორა, გონელი დარასელიები, ცოლისძმები: ილიკო, ბაჩია ბენგელიები, ცოლისდები ნათელა, აველინა შენგელიები, ქვისლები ორდენ ხუბულავა, მაძა ხახალია, ბიძაშვილები: შურა. შოთა, კაკო, ბონდო, ჯურგა. ხუხა. პალიკო დარასელიები იუწყებიან

ეორეი ჭუჯუს ძე დარასელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21, 22 თებერვალს. დაკრძალვა 23 თებერვალს სოფ. კახათში.

მეუღლე ვენერა, შვილები: ხათუხა, ლაშა, და მოკონა, ძმები: შოთა, ვალერი, სიძე ვანიჩქა ჯღარკავა, რძლები: ციალა. ნათელა, დისშვილები: ლიდორი, რევაზი, ოთარი ჯღარკავები, ძმისშვილები: ხვიჩა, ლია, ძერაბი, ემზარი. პაატა, ცოლისდები: ვარდო. დუნია. გრავაშა, გოგოლა, ცოლისძმები: გუდუ, ბოჩო ტაბაღუები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

დაფენტი კალის ძე ხაზალიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 თებერვალს. დაკრძალვა 23 თებერვალს ს. ორსანტიაში.

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის მუშაკები იუწყებიან ამავე კვანძის სოფელ ჭკადუაშის საფოსტო განყოფილების უფროსის —შრომის ვეტერანის

თათუშა პავლეს ასულ ნაჭყებიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ვასო, შვილები: ნინო. ხახი, ხონა. თემური. შვილიშვილები, ქრისტინე, კაბა ბერიანიები, და ფაცხუ, ძმები ვახტანგი, კუჭიკო ხუბუები, ძმისშვილები: გურამი, ციალა. ციური. ნანა. ქეთინო, რობერტი, ნინო. მინდია ხუბუები. დისშვილები: ჯუმბერი, თეხგზი, თაზო ჯიქიები. გია ცხადაია. ბიცოლები: ქსენია, თამარა, ბიძაშვილები: გაგო ჩაჩავა, თინიკო. ნანული. ანტოშა ხუბუები. დეიდაშვილები: ფუშა, კაკინა, ვაკო ჩიქავები, ბზია, კუკური ებსიები, ჯული, კაოლი ქობალიები, რძლები: ეანა მორცხულავა, ლეილა წარია, ბელა მიქავა, ნათელა ხარლამპიდი, ნატა ცაავა, ანჟელა მოსია, სიძეები: ვიტალი ბერძენია. ოთარ ჯიქია, მაზლი რეზო ხარლამპიდი, მაზლიშვილები: ლორინდა, დემური, არჩდი ხარლამპიდები იუწყებიან

ქოქოშა გრისკოს ასულ ხუბუა-ხარლამპიდის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20 თებერვალს. დაკრძალვა 21 თებერვალს ს. ანაკლიაში.

შვილები: კიკული. ასმათი, ჯამბული, ძმები რადიონ ხუფაცარია, ვახტანგ აფაქიძე, ძმისშვილები: ჯემალი, ნუგზარი. ზურაბი, ნინო, რძლები თინა ჯღამაია. თამარა გაბისონია. ლუსია ქორთუა, ლარისა გუჯეჯიანი, მანონ ბუაძე, ბიცოლები: ნადია, ბაბუცა, ეუნა მაშიები, მულები: ვენერა, საშა, თინა, მაზლი კუჭიკო ქორთუები, შვილიშვილები: მამუკა, ირმა, ნინიკო თორიები ელგუჯა. ალბინა აფაქიძეები. სიმსონი, რუსუდან ქორთუები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ეთერ ტრიფონის ასულ მაშია-ქორთუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22, 23 თებერვალს. დაკრძალვა 24 თებერვალს სოფ. კოკში 5 საათზე.

ზ ა ხ ა ლ ი ზ ო ყ ი ნ ი ს რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა ო თ ი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-22-69 ბუღალტერიის მდივნის 2-21-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. ბიჭვინთა-ბაკურიანის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-22-07 ტირაჟი 8000 შეკ. №421